განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი 21 აპრილი 2020

დასკვნის წარდგენის თარიღი 20/05/2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საზოგადოებრივი ჯანდაცვა
განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების მე-2 საფეხური/მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი 0904
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ ლობჯანიძე - საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ცოტნე სამადაშვილი - თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონული ცენტრი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ჯინა შოგირაძე - თსუ, სტუდენტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

თსსუ სამაგისტრო პროგრამა "საზოგადოებრივი ჯანდაცვა" არის ქართულენოვანი ორწლიანი სამაგისტრო პროგრამა, რომელიც მოიცავ 120 ECTS კრედიტს. ეფუძნება ASPER -ის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამაგისტრო სწავლების ძირითად მოთხოვნებს. შედგება სასწავლო კომპონენტებისგან: ძირითადი სულ 82 ECTS და მრავალფეროვანი არჩევითი საგნებიდან სულ 8 ECTS 8 არჩევითი 2 -2 ECTS საგნებიდან, ასევე სამაგისტრო კვლევითი ნაშრომისგან 30 ECTS, რომლის შესრულება აუცილებელია საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრის კვლიფიკაციის მისაღებად. მიღებული კვალიფიკაცია აძლევს საშუალებას განახორციელოს მრავალმხრივი სამუშაოები ჯანდაცვითი პროგრამების გაუმჯობესებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სერვისების ფორმირება-მიწოდების თვალსაზრისით, რაც დააკმაყოფილებს მოსახლეობის შესაბამის მოთხოვნებს ჯანდაცვის სფეროში.

სამაგისტრო პროგრამა „საზოგადოებრივი ჯანდაცვა"თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 2008 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის საერთაშორისო სკოლის ფარგლებში. 2011 წელს სამაგისტრო პროგრამამ „საზოგადოებრივი ჯანდაცვა" გაიარა აკრედიტაცია. თვითშეფასების ჯგუფის 2019 წლის 1 თებერვლის სხდომაზე მოხდა სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმში ცვლილებების შეტანის ინიცირება. აღნიშნული ცვლილებები (პროგრამის სტრუქტურა, სილაბუსების ნაწილის ინტეგრირება, კრედიტებისა და საგნების დასახელებების კორექცია) განიხილა საზოგადოებრივი ჯანდაცვის კურიკულუმის კომიტეტმა 11 თებერვალს, ხოლო 2019 წლის 15 თებერვალს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭომ განიხილა და მიიღო ზემოხსენებული ცვლილებები (ოქმი #4). პროგრამა ფინანსურად მდგრადია და აქვს თსსუ ფინანსური მხარდაჭერა

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი შედგა ა.წ. 21 აპრილს ონალინ ფალატფორმის „ZOOM" მეშვეობით. ორგანიზაციულ დახმარებას ასწარმოებდა უმაღლესი განათლების ხარსიხის უზრუნველყოფის სამსახურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი ლალი ოდიშვილი. სავიზიტო ჩართვა დაიწყო დღის წესრიგით განსაზღვრულ პერსონალთან დროულად 10.10 სთ. ონალინ შეხვედრები შედგა ყველა ჯგუფთან. საუბრები წარიმართა კეთილგანწყობილ და კონსტრუქციულ, კოლეგიალურ გარემოში. ექსპერტებს ჰქონდათ საშუალება ადგილზე მიეღოთ მოთხოვნილი ინფორმაცია. საგანგებო მდგომარეების გამო ბიბლიოთეკის ნაწილის ფიზიკური დათვალიერება ვერ მოხერხდა, მაგრამ შესაძლებელი იყო საბიბლიოთეკო ბმულის მიხედვით წიგნების ნახვა ონალინ რეჟიმში. დღის ბოლოს შედგა ვიზიტის შეჯამება და მიღებული შედეგები გაეცნოთ თსსუ ადმინისტრაციის (ხარიხის სამსახურის ხელმძღვანელი ირინე კვაჭაძე), და პროგრამის ხელმძღვანელს ბარამიძე ლევანს და ფაკულტეტის ხარისხს დავით გელოვანს)

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის ეროვნულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენისას ექსპერტთა ჯგუფმა იხელმძღვანელა მოქმედი კანონმდებლობით და შეჯამების სახით წარმოადგინა. პირველი, მე-2 და მეოთხე სტანდარტები შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" ხოლო მე-3 და მე-5 სტანდარტები - „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან"

- **რეკომენდაციები**

1. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის მიზანის ფორმულირება დაიხვეწოს სიცხადისა და სამაგისტრო საფეხურის დონის მოთხოვნებთან მიმართებაში;
2. მოხდეს კურიკულუმის სწავლის შედეგების რუქაში საგნებში ასახული სწავლების შედეგების გათვალისწინება, რათა თვალნათლივ იქნეს წარმოდგენილი კურიკულუმის სწავლის შედეგების მიღწევის მახასიათებლების: „გაცნობა“ სიღრმე“ „განმტკიცება“ მიხედვით საგნების შედეგებთან კავშირების განსაზღვრა;
3. სწავლის შედეგების ფორმირებისას მეტად გამოკვეთილ იქნეს დარგობრივი სპეციფიკა და სწავლების საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერის მოთხოვნები;
4. სილაბუსი " ანალიტიკური მეთოდები საზოგადოებრივი ჯანდაცვისათვის" არის შედეგების გარეშე, ვფიქრობთ რომ არის ტექნიკური ხარვეზი, რაც უნდა გასწორდეს, ასევე საგანს „პროექტის დაწერა“ აქვს სათაურთან შეუსაბამო მიზანი, შედეგი კი შეუსაბამო საგნის შინაარსთან. საგნებს აქვს წინაპიროებები, რომელთა დასახელება კურიკულუმში არ გვხვდება (მაგ.საგანი „პროექტის დაწერა“, ეპიდემიოლოგია 2 და სხვა) საგანს „სასწავლო-პროფესიული პრაქტიკა"საერთოდ არ აქვს წინაპირობა, მესამე სემესტრის საგანია, გარკვეული დონის ცოდნისა და უნარების გარეშე პირდაპირ პრაქტიკაზე წასვლა არ არის მართებული. შეჯამების სახით საგანების სილაბუსები მოითხოვს სწავლის მიზნების, შედეგებისა და წინაპირობების სათანადო დაკორექტირებას;
5. საგნებში: „საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკა და პრაქტიკა, ჯანმრთელობის სისტემები“, „ჯანმთელობის დაწესებულების მენეჯმენტი და სისტემის ბიზნეს დაგეგმარება“ დაცულ იქნეს სემესტრში კრედიტის მინიჭების პრინციპები;
6. საგნების (მაგალითად, „პროექტის დაწერა“, „ეპიდემიოლოგია I, „ეპიდემიოლოგია 2“) სილაბუსებში, სადაც მოცემულია ხანდაზმული ლიტერატურა განახლებულ იქნეს შესაბამისი ახალი ლიტერატურით, ამავე დროს გადახედულ იქნეს საგნებში: „პროექტის დაწერა“, „ეპიდემიოლოგია 1“ „ეპიდემიოლოგია 2“- ის ძირითად სასწავლო ლიტერატურა, რადგან სამივეში მოწოდებულია ორი ერთი და იგივე ლიტერატურა. ვფიქრობთ, რომ აქტიურად უნდა გამოყენებულ იქნეს შესაბამისი დაგობრივი სამეცნიერო ჟურნალები რელევანტური თემატური სტატიებით ;
7. "სასწავლო-პროფესიული პრაქტიკა" სილაბუსში სწვლების შედეგთან მიმართებაში გაიწეროს უშუალოდ პრაქტიკის შეფასების კრიტერიუმები, სადაც ჩართული იქნება დამსაქმებელი, ან პრაქტიკის მენტორი

8. საგნების (მაგ.: საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკა და პრაქტიკა, „პროექტის დაწერა“,ეპიდემიოლოგია I და სხვა,) სილაბუსებში სადაც მოცემულია სწავლება და თემატიკა „დღეებზე“ გაწერით (მაგალითად დღე 5-6, ან დღე 18-19-20) , წარმოდგენილ იქნეს სასწავლო კვირეების წარმოჩენით, ასევე დღეში თემატიკის ლექციისა და პრაქტიკულის საკონტაქტო სთ-ის რაოდენობის მითითებით;
9. შესაბამის სილაბუსებთან მიმართებაში მეტად წარმოჩნდეს და გამოყენებულ იქნეს კრიტიკული ანალიზისა და აზროვნების, კვლევითი პროექტის წერის და სხვა მეთოდები, რომელიც ხელს შეუწყობენ იდეების ფორმირებას, კვლევის დაგეგმვასა და განხორციელებას (მაგ.ეპიდემიოლოგია 2-ისთვის კრიტიკული ანალიზი მნიშვნელოვანია, „პროექტის დაწერა“ შეფასებები არის მხოლოდ ტესტებით, ხოლო პროცესში არ ჩანს პროექტის წერის უნარის გამომუშავების მეთოდი)
10. განხორცილედეს ინდივიდუალური საუნივერსიტეტო საკომუნიკაციო არხების მეტი ინტენსიური გამოყენება საპირისპიროდ სოციალური ქსელ ფბ-ის მეშვეობით სასწავლო მასალების მ.შ. პრეზენტაციის მიწოდების ან ლექტორთან კომუნიკაციისას;
11. სტუდენტებს მიეცეთ მეტი შესაძლებლობა პროგრამის ფარგლებში ინდივიდუალურად აირჩიონ საგნები მ.შ. პროგრამის ძირითადი, დაგეგმონ სემესტრი.
12. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევითი სამუშაოებში მეტი ჩართულობა, ასევე პროფესორ მასწავლებების მეტი ტრენირება სწავლების შეფასების სისტემებისა და მეთოდების, ასევე სწავლის შედეგების შესახებ
13. ეფექტური ფინანსური მოტივაციების სისტემის ფორმირება, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებისა და პროფესორ მასწავლებლების კვლევებში მეტ ჩართულობას, საერთაშორისო კონფერენციებსა და ტრენინგებში მონაწილეობის მიღებას, დენადობის შემცირებას.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია, გაიზარდოს სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდების წყაროები - დასაქმებასთან, კარიერულ განვითარებასთან, პროექტებთან, კონფერენციებთან, ღონისძიებებთან, კვლევებთან დაკავშირებული ინფორმაცია განთავსდეს ელექტრონულ პლატფორმაზე, გაეგზავნოთ მეილებზე.
2. სასურველია, სტუდენტებს პერიოდულად გაეწიოთ კონსულტაცია ელექტრონული ბაზების გამოყენების შესახებ.
3. სასურველია, გაიზარდოს სტუდენტების მონაწილეობა პროექტებში, კონფერენციებში, კვლევებში, ღონისძიებებში.

4. სასურველია, მაგისტრანტებს ჰქონდეთ სამაგისტრო თემის არჩევის მეტი თავისუფლება.
5. დარგში ეროვნული ლიტერატურის დეფიციტია, შესაბამისად უმჯობესია ამ მიმართულების კიდევ მეტად განვითარება, ვინაიდან პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალს და უნივერსიტეტს ამის პოტენციალი გააჩნია.
6. ვფიქრობთ, უმჯობესი იქნებოდა პროგრამის ბიუჯეტის დივერსიფიცირება ყველა ფინანსური პარამეტრით, რაც უფრო გამჭვირვალეს გახდიდა სხვადასხვა საჭიროებებისათვის წინასწარ გათვლილ ბიუჯეტს. (წახალისების სისტემა და მასზე გაწერილი ბიუჯეტი, მოგზაურობის ხარჯები საერთაშორისო კონფერენციისათვის და ა.შ)
7. ჩარმავებული კვლევების წარმოება მიზნობრივ ჯგუფებში სემესტრულად.
8. არჩევითი საგნებში კრედიტების გაზრდა არაუმცირეს 2 ECTS
9. სამაგისტრო ნაშრომის შესრულების სტანდარტში სასურველია თუ გათვალისწინებული იქნება აღიარებული რომელიმე აკადმიური წერის სტილი (APA ან სხვა) და ასევე პლაგიატის შესახებ მოთხოვნა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თსსუ სამაგისტრო პროგრამის „საზოგადოებირვი ჯანდაცვა“ მიზანი შეესაბამება თსსუ-ს მისიასა და გაცხადებულ სტრატეგიულ გეგმებს . თვითშეფასებაში აღწერილია თუ რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში პროგრამას: *„....საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია ისეთი სპეციალისტების მომზადებაზე, რომელთა მთავარი დანიშნულება არის საზოგადოების დარწმუნება, რიგი დაავადებების თუ პათოლოგიური მდგომარეობების შემთხვევაში ქცევის ცვლილების განხორციელების აუცილებლობაზე, საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა დიდი პრევენცილი ინტერვენციების განხორციელების პროცესში, იქნება ეს სკრინინგი თუ იმუნიზაცია. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია ისეთი სპეციალისტების მომზადებაზე, რომელთა ჩართულობა ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის ფუნქციობისათვის გადაუდებლად აუცილებელია მნიშვნელოვანია და გამყარებულია მთავარი მოთხოვნილებით, ისეთით როგორიცაა საზოგადოების კარგი ჯანმრთელობა და მისი უზრუნველყოფა ადექვატური პროფილაქტიური თუ პრევენციული იტერვენციების დაგეგმვითა და განხორციელებით.“*	

პროგრამის მიზანი განიმარტება შემდეგი სახით: *„სამაგისტრო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ მიზანია სწავლის შედეგებზე და სწავლის შედეგებით გათვალისწინებული პროფესიული კომპეტენციის გამოყენებაზე ფოკუსირებული მიდგომით მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში საქმიანობის, ინდივიდისა და თემის ჯანმრთელობის უზრუნველყოფაში მონაწილეობისათვის, რომელთაც ექნებათ ცოდნა და უნარები:*

- ✓ *პრევენციული და ჯანმრთელობის ხელშემწყობი პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის;*
- ✓ *ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების და შესაბამისი დაწესებულებების, ჯანდაცვის სერვისების მწარმოებელი და მიმწოდებელი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის მენეჯმენტის უზრუნველყოფისათვის;*
- ✓ *სამეცნიერო–კვლევითი და სხვა ტიპის ჯანდაცვითი აქტივობების განხორციელებისათვის მოსახლეობის ჯანმრთელობის ინდიკატორების გაუმჯობესების მიზნით.“*

მიზანი ეფუძნება შედეგებში მისაღწევ უნარებსა და ცოდნას, რომელიც ქმნის კვალიფიკაციას. მნიშვნელოვანია, რომ ეროვნული საკვალიფილაციო ჩარჩოს კვალიფიკაციის აღმწერის მე-7 დონის მოთხოვნები არ არის წარმოჩენილი შედეგებში და შესაბამისად მიზანშიც. მაგალითად სამეცნიერო - კვლევითი სამუშაოების წარმოება, პრევენციული და ჯანმრთელობის ხელშემწყობი პროგრამების დაგეგმვა-განხორციელება და ა.შ. მოითხოვს საკითხის სიღრმისეულ ცოდნას, კრიტიკულ აზროვნებასა და ანალიზს, სისტემურ ხედვების ქონას და სხვა, რომელიც გარკვეული ფორმით წარმოჩენილ უნდა იყოს გაცხადებულ მიზანში.

თსსუ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები ცალსახად აღნიშნავენ, რომ კურსდამთავრეულები, როგორც აპლიკანტები და შემდეგ როგორც თანამშრომლები, კონკურენტუნარიანნი არიან ბაზარზე და კვალიფიციურად ასრულებენ სხვადასხვა ტიპის სამუშაოებს როგორც დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში, ასევე კლინიკებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში. შესაბამისად გარკვეული წვლილი შეაქვთ დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

გარდა ამისა, თვითშეფასებაში მოცემული აღწერილობა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამაგისტრო პროგრამის პროდუქტის, ნამდვილად მნიშვნელოვანია საქართველოსა და დანარჩენი მსოფლიოსთვის, რამეთუ პოპულაციური ჯანმრთელობა ყველა დონეზე (თემი, ქვეყანა, რეგიონი, მსოფლიო) მოიცავს როგორც ინდივიდის, ასევე ჯგუფურ/პოპულაციური ჯანმრთელობის ღონისძიებებს (დაავადებათა პროფილაქტიკა, ჯანმრთელობის შენარჩუნება-გაუმჯობესება, ხელშეწყობა), რომელიც რიგ შემთხვევებში მხოლოდ ლოკალურად ვერ იქნება წარმატებული თუ არა ქვეყნის, გლობალურ დონეზე მისი პოლიტიკისა და მნიშნელობის გააზრება, შესაბამისად დანერგვა - შესრულება. პროგრამის კურიკულუმში წარმოჩენილია შესაბამისი თემატიკები. ასევე თსსუ -ის სტრატეგიული განვითრების გეგმა 2017-2024 მოიცავს საერთაშორისო ინტეგრაციის მიმართულებებს, რაც მნიშვნელოვანია პროგრამით განსაზღვრული მიზნის მისაღწევად, განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის. ზოგადად მიზნები თანხვედრაშია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ დეკლარირებულ მისიასთან და ღირებულებებთან, მაგრამ აკლია საფეხურთან შესაბამისი შინაარსობრივი ფორმულირება. განხორციელებული ვიზიტის დღის წესრიგის შესაბამისად ინტერვიუს დროს, როგორც თსსუ-ს ადმინისტრაციასთან, ასევე ფაკულტეტისა და პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროფესორ-მასწავლებლებთან აღნიშნულ საკითხზე გამახვილებულ იქნა ყურადღება და დასმულ იქნა შესაბამისი კითხვები. ისინი დაეთანხმენ პროგრამის მიზნის და შესაბამისად, სწავლის შედეგების უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის შესაბამისი კვალიფიკაციის აღმწერის მოთხოვნებთან მიმართებაში მიზნისა და შედეგების უკეთ ფორმულირების საკითხს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით ○ თსსუ სამაგისტრო პროგრამა „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“-ის მიზანი, სწავლის შედეგები ○ თსსუ სამაგისტრო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“-ის თვითშეფსების ანგარიში. ○ ეროვნული საკვალიფილაციო ჩარჩოს სწავლების მე-7 დონე კვალიფიკაციის აღმწერის მოთხოვნები ○ თსსუ სტრატეგიული გეგმა 2017-2024 ○ ინტერვიუ

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

1. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის მიზანის ფორმულირება დაკორექტირდეს სამაგისტრო საფეხურის დონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

--

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის

მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;

პროგრამის თვითშეფასებაში აღნიშნულია რომ: *„პროგრამის სტრუქტურირებასა და სწავლის შედეგების ჩამოყალიბებაში მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ეპიდემიოლოგიის, ბიოსტატისტიკის, გარემოს ჯანმრთელობის, ჯანდაცვის მენეჯმენტის, ჯანდაცვის დაფინანსების, ჯანდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის და სხვა სფეროების ექსპერტები. უნივერსიტეტის ფაკულტეტის პროფესურის გარდა, პროგრამის შემუშავებაში ზოგადად და, მათ შორის, შედეგების განსაზღვრის პროცესში, პროგრამის შექმნის დღიდანვე, ჩართულნი არიან სპეციალისტები თანამედროვე, დასავლური აკადემიური და პროფესიული განათლებით, რომელნიც საქმიანობენ ჯანდაცვის ეროვნულ უწყებებსა და სააგენტოებში, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაწესებულებებში, საერთაშორისო ან/და ეროვნულ არასამთავრობო ორგანიზაციებში. პროგრამაში მათი როლი და ჩართულობა დასტურდება არა მარტო მონაწილეობით პროგრამის იდეოლოგიის შემუშავებაში, არამედ უშუალოდ მათ მიერ თემატური და შედეგების განმსაზღვრელი სასწავლო კურსების განხორციელებით. პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები, რომლებიც შეესაბამება პროგრამის მიზნებს, რაც ასახულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე.“*

წარმოდგენილი ინფორმაციის, ცხრილის, მიხედვით პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე, შედეგებში მონიშნული ცოდნა-გაცნობიერების მე-4 (I-4) და უნარების პირველი (II -1), მეხუთე (II-5) შედეგი არ არის ძირითად მიზანში გაცხადებულ არც ერთ ქვემიზანებთან დაკავშირებული. გარდა ამისა, გამორჩენილია უნარი - მეშვიდე (II-7) შესაბამისად, მოითხოვს რუქა კორექციას. ვფიქრობთ, რომ უნდა იყოს ტექნიკური ხავეზი.

გარდა ამისა, კურიკულუმის სწავლის შედეგების რუქაზე/ თუ რომელი საგანი პროგრამის რომელ შედეგზე გადის/ წარმოდგენილია სწავლების შედეგები, სადაც პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის სწავლის შედეგში არ ფიქსირდება რამდენიმე საგნის შედეგები, მაშინ როდესაც მათ ეს შედეგები გააჩნიათ (1. ინგლისური ენა, 2. ეპიდემიოლოგია 1, 3.

ბიოსტატისტიკა , 4. სოციალური და ქცევითი მეცნიერებები 5. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკა და პრაქტიკა, 9. ჯანდაცვის ფინანსირება და ეკონომიკა) , შესაბამისად შედეგი მოითხოვს ასახვას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რიგ საგანებში (ბიოსტატისტიკა) „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობაში“ გაწერილი შედეგი (რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი) შეესაბამება კვალიფიკაციის აღმწერით „უნარს“, გარდა ამისა, არის ზოგადი და მოითხოვს დარგობრივი სპეციფიკით წარმოდგენას. გამომდინარე, სილაბუსების შედეგები მოითხოვს გადახედვას კვალიფიკაციის აღმწერის გათვალიწინებით, და შემდგომ კურიკულუმის სწავლის შედეგების რუქის კორექციას.

აღსანიშნავია, რომ რიგ სილაბუსებში სწავლის შედეგების წარმოდგენისას გამოყენებულია კონსტრუქცია „მაგისტრანტებმა უნდა შეძლონ“, „უნდა იცოდნენ“ ან მაგისტრანტებმა უნდა ისწავლონ (სილაბუსი ბუღალტერია და სხვა) ნაცვლად კონსტრუქციისა „მაგისტრანტი შეძლებს“ ან „მაგისრტანტს შეუძლია“

მაგისტრანტი სამაგისტრო პროგრამაზე სწავლას ასრულებს ინგლისური ენის C1 დონეზე, (სილაბუსი „ინგლისური ენა“) რაც პროგრამის ძირითადი საგანია და შედეგებში ასახული არ არის. გარდა ამისა, ამავე საგანში აუცილებელია მოხდეს სწავლის შედეგში „ ცოდნა და გაცნობიერება“ კორექცია და სწორად ჩამოყალიბდეს. ვერ მოიძებნა საგნის შინაარსში „აკადემიურ და პროფესიულ კონტექსტში კვლევითი პროექტების განხოციელება პროფესიული კეთილსინდისიერების დაცვით“ შესაბამისი სასურველი იქნება საგნის სათაურის დაზუსტება შინაარსიდან გამომდინარე.

სილაბუსს “ ანალიტიკური მეთოდები საზოგადოებრივი ჯანდაცვისათვის” არ აქვს სწავლის შედეგები, შესაბამისად გააზრება ერთიან პროგრამის შედებში შეუძლებელია.

კურიკულუმის სწავლის შედეგების რუქა წარმოდგენილია საგნის სწავლის შედეგების 1-„გაცნობა“, 2-„გაღრმავება“, 3-„გამტკიცება“ მახასიათებლების მიხედვით პროგრამის შედეგებთან მიმართებაში.

საგანს „ბიოსტატისტიკა“ კურიკულუმის სწავლის შედეგების რუქაში აქვს მხოლოდ გაცნობისა და განმტკიცების დონე, მაშინ როდესაც საგანში არის სიღრმისეული სწავლება.

ვფიქრობთ, თუ მეტი სიზუსტით გაიწერება უშუალოდ საგნის სილაბუსში სწავლის შედეგი გარკვეულწილად დაზღვეული იქნება რუქაზე მონიშვნების შეცდომებისგან.

მოწოდებულ კურიკულუმის სწავლის შედეგების რუქაში:

ა) **ავტონომიურობა და პასუხიმგელობის** შედეგში არ არის ასახული საგნების: ინგლისური ენის, ეპიდემიოლოგია 1, ბიოსტატისტიკა , სოციალური და ქცევითი მეცნიერებები, საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკა და პრაქტიკა, ჯანდაცვის ფინანსირება და ეკონომიკა შესაბამისი სწავლის შედეგები, მაშინ როდესაც აღნიშნულ საგნების სილაბუსებში ის წარმოდგენილია.

ბ) **„ცოდნა-გაცნობიერება“** ასახული არ არის საგნების: ინგლისური ენა, ბიოსტატისტიკა, კვლევითი პროექტის მომზადება ცოდნა-გაცნობიერების შედეგები.

გ) „უნარები“ შედეგში ასახული არ არის საგნის სოციალური და ქცევითი მეცნიერებები შესაბამის უნარი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, პროგრამის მიზნის სწავლის შედეგებთან შესაბამისობისა და კურიკულუმის სწავლის შედეგების საგნის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუქებში არ მოიძიება- მაგ.პროგრამის უნარი (II-7): მონაცემების/ინფორმაციის წარდგენა და დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო პროფესიულ და არაპროფესიულ საზოგადოებასთან. მიგვაჩნია, რომ არის ტექნიკური ნაწილი, რაც უნდა გასწორდეს, მაგრამ ამავე დროს ვთვლით, რომ წარმოდგენილი უნარი ზოგადია და სათანადოდ უნდა გაიწეროს დარგობრივი სპეციფიკით.

ცალსახად მნიშვნელოვანია დარგის ექსპერტების მონაწილეობა პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებაში, მაგრამ აუცილებელია და დაკმაყოფილებას მოითხოვს სწავლის შედეგების ფორმირება მოხდეს საქართველოს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს გამოყენებით კვალიფიკაციის აღმწერის გათვალისწინებით.

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;

პროგრამები შედეგები იზომება დამსაქმებლების, პროფესურისა და მოწვეული სპეციალისტების, კურსდამთავრებულთა გამოკითხვისა და სტუდენტების კმაყოფილებით,

რაც მოწოდებულია თვითშეფასებასა და თანდართულ კვლევებში. განსაზღვრულია წესი და პერიოდიკა 2-4 წელი.

„....სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად შემუშავებულია „საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების წესი“, რომელშიც განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების, ეტაპების, მეთოდების და პროცედურების ერთობლიობა, რაც გულისხმობს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, მათ შეგროვებას და მონაცემთა ანალიზს. ასევე ითვალისწინებს პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზი საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით (რამდენად შეესაბამება მიღებული ცოდნა და პრაქტიკული უნარები საერთაშორისო სტანდარტებს და მოთხოვნებს)“

თსსუ-ის საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების წესში პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. სწავლის შედეგების შეფასების გეგმა ასახავს, თუ როგორ შეფასდება პროგრამის სწავლის შედეგები პროგრამის დასასრულს. პერიოდულად ტარდება მიმდინარე და სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ანალიზი, აგრეთვე გამოიყენება როგორც პირდაპირი (საგამოცდო უწყისები, სამაგისტრო ნაშრომები) და ასევე არაპირდაპირი (კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები) შეფასების მეთოდები. განსაზღვრულია არსებული და სასურველი 3 სამიზნე ნიშნულები: 1. პროგრამის დასრულების მაჩვენებელი არსებული 68%, სასურველი არანაკლებ 80% 2. კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმების მაჩვენებელი არსებული 71%, სასურველი არანაკლებ 89% 3. კურსდამთავრებულთა შეფასების შედეგების განაწილება A, B, C, D, E არსებულისა და სასურველის ნიშნულით. შეფასებაში B 24%-იანი ცვლილება, ზრდა ვფიქრობთ, ამბიციური განაცხადია პროგრამისთვის, შესაბამისი რესურსი და მოტივაციები ესაჭიროება.

ასევე კვლევებით გამოკვეთილია გამოკვეთიალია ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები.

- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

თვითშეფასებაში წარმოდგენილი ინფორმაცია 2008-2016 წლებში 151 კურსდამთვარებულებიდან 91 (60%) დასაქმებულის დასაქმების ინფრასტრუქტურის მიხედვით:

1. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი- 16,48% (15 ადამიანი);
2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო-5,49% (5 ადამიანი);

3. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრები (რეგიონების ჩათვლით)-13,19% (12 ადამიანი);

4. ჯანდაცვითი პროექტები და კვლევები (საერთაშორისო ფონდის „კურაციო“, შპს ვისტამედის ჩათვლით)-30,76%; (28 ადამიანი);

5. ქვეყნის კლინიკებსა და სამედიცინო დაწესებულებებში-24,17% (22 ადამიანი);

6. აფთიაქებსა და საფთიაქო ბაზებში- 7,69% (7 ადამიანი);

7. თავდაცვის სამინისტრო-1,09% (1 ადამიანი);

8. იუსტიციის სამინისტრო-1,09% (1 ადამიანი);

რაც უნდა ჩაითვალოს, რომ დასაქმების კარგი განაწილებაა ინტერსექტორში და შეესაბამება პროგრამის შედეგების/კომპეტენციების მიხედვით დასაქმებას.

ვიზიტის დროს დამსაქმებლებმა (დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, „ვისტამედის“ და „კარდიოექსპრესის“ „-„ჯანმრთელობის კვლევის კავშირი“) პირდაპირ და ირიბ კითხვებზე პასუხებით დაადასტურეს, რომ მაგისტრანტები ფლობენ სათანადო ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს. მათ დასაქმებული ჰყავთ თავის დაწესებულებებში რამდენიმე კურსდამთვრებულები და კმაყოფილები არიან მათი პროფესიული საქმიანობის შედეგებით, მიუხედავად ამისა უნივერსიტეტი ითალისწინებს მათ წინადადებს პროგრამის შედეგების გაუმჯობესების შესახებ. თვითშეფასებაში მოწოდებული ინფორმაციით დამსაქმებელმა ი.ხაბაზი (ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს“ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულების მენეჯერი) აქტიური მონაწილეობა მიიღო საგნის „პროფესიული პრაქტიკა“ დაგეგმვაში, რამაც მნიშვნელოვანწილად გააუჯობესა საგნის პრაქტიკული მხარე.

ინტერვიუს დროს აღინიშნა აქტიური ჩართულობა დამსაქმებლების მხრიდან და კომუნიკაცია პროგრამის ხელმძღვანლეთან, მოყვანილ იქნა მაგალითები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. თსსუ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამა, სილაბუსები
2. თსსუ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
3. დასაქმებულების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, მოწვეული და აკადემიური პერსონალის გამოკითხვები და ანალიზი

4. ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან, მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

1. მოხდეს კურიკულუმის სწავლის შედეგების რუქაში საგნებში ასახული სწავლების შედეგების გათვალისწინება, რათა თვალნათლივ იქნეს წარმოდგენილი კურიკულუმის სწავლის შედეგების მიღწევის მახასიათებლების: „გაცნობა“ სიღრმე“ „განმტკიცება“ მიხედვით საგნების შედეგებთან კავშირების განსაზღვრა;
2. სწავლის შედეგების ფორმირებისას მეტად გამოკვეთილ იქნეს დარგობრივი სპეციფიკა და სწავლების საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერის მოთხოვები;
3. სილაბუსი “ ანალიტიკური მეთოდები საზოგადოებრივი ჯანდაცვისათვის” არის შედეგების გარეშე, ვფიქრობთ რომ არის ტექნიკური ხარვეზი, რაც უნდა გასწორედეს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პროგრამის თვითშეფასებაში მოწოდებული მასალის მიხედვით მოცემულია, რომ: „სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას. პროგრამაზე დაშვება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული მაგისტრატურის შესახებ დებულებით: (დამტკიცებულია თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 7 მაისის №24/5 დადგენილებით, შეტანილი ცვლილება დამტკიცებულია თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 მაისის№24/3 დადგენილებით);

- მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბაკალავრის (ასევე მედიცინის ნებისმიერი მიმართულების ბაკალავრს) ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირს;
- სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლების მოპოვებისთვის აუცილებელია საერთო სამაგისტრო გამოცდის (A ტესტი) და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი გამოცდების ჩაბარება; სპეციალობასა და ინგლისურ ენაში (B2) (50%+1-იანი ზღვარის გადალახვით). შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები ტარდება თსსუ-ის საგამოცდო ცენტრში, ტესტური სისტემით;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულ გამოცდაში/ გამოცდებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ მაგისტრანტობის კანდიდატებს, რომლებმაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმატებით გადალახეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი საერთო სამაგისტრო გამოცდაში;
- მაგისტრატურაში ჩარიცხვა ხდება წინასწარ გამოცხადებული მისაღები კონტინგენტის ფარგლებში, კონკურსის წესით;
- მაგისტრატურაში მისაღებ კონკურსს აცხადებს თსსუ-ის სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სამსახური. კონკურსი მოიცავს: ა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებას;
ბ. გამოცდას სპეციალობასა და უცხოურ ენაში.
- მობილობის წესით დაშვება ხდება საქართველოს კანონმდებლობით და თსსუ-ის რეგულაციების შესაბამისდ.

საჯაროა პროგრამაზე მიღების პირობები, მიღებასთან დაკავშირებიული სხვა რელევანტური ინფორმაცია ყოველწლიურად თავსდება შეფასებებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე, ცნობარში და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: www.tsmu.edu პროგრამაზე მიღების ზემოაღნიშნული პირობები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.“

დოკუმენტების შესწვლისას წარმოდგენილ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამაში, ცალსახად წერია, რომ სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა არის: 1. ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, რაც აცდენაშია თვითშეფასებაში გაცხადებულ ინფორმაციასთან. ვიზიტის დროს დასმულ იქნა აღშნიული საკითხი როგორ ცენტრალური ადმინისტრაციის დონეზე, ასევე პროგრამის ხელმძღვანელთან. პასუხები იყო განსხვავებული. პროგრამის ხელმძღვანელი ლ.ბარამიძე

აღნიშნავს, რომ პროგრამაში არსებული ჩანაწერი არის მართებული და ისინი იღებენ ყველა ყველა პროფილის ბაკალავრიატისა თუ მაგისტრატურის კურსდამთავრებულს, ხოლო ცენტრალური ხარისხის ხელმძღვანელის ი.კვაჭაძის ზეპირი ინფორმაცია ემთხვევა, თვითშეფასებაში გაცხადებულს: „მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბაკალავრის (ასევე მედიცინის ნებისმიერი მიმართულების ბაკალავრს) ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირს;“ . ჩვენი აზრითთვითშეფასების მიღების წინაპირობის ჩანაწერში არის უზუსტობა. კვალიფიკაციის ჩარჩოში მოწოდებულია მიმართულება ჯანდაცვაში შედის მედიცინა, რომელიც არის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის კვალიფიკაციის ხარისხი გათანაბრებულია მაგისტრის ხარისხთან, ასევეა სტომატოლოგიის პროგრამა. ხოლო რაც შეეხება ფარმაციის, ფიზიკური მედიცინის პროგრამებს ისინი საბაკალავრო სწავლების საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს წარმოადგენენ, რომელთა საკვალიფიკაციო ხარისხი ბაკალავრიატს განეკუთვნება. თვითშეფასებაში წარმოდგენილი ჩანაწერი გამორიცხავს ერთსაფეხურიან და სამაგისტრო სწავლების შესაბამისი კვალიფიკაციების ხარისხს მქონე აპლიკანტების მიღებას. გარდა ამისა, პროგრამაზე არსებული ჩანაწერით დაიშვება ნებისმიერი მიმართულების განათლების მქონე პირი.

ექსპერტთა ჯგუფი დაეფუძნა პროგრამაში უშუალო ჩანაწერსა და პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებას.
რადგან პროგრამაზე დაიშვება სხვადასხვა მიმართულების განათლების მქონე ბაკალავრები, მაგისტრები, საზოგადოებრივ ჯანდაცვის საბაზო ცოდნის შეფასებისას აუცილებლად უნდა არსებობდეს გამოქვეყნებული ძირითად საკითხების ნუსხა, ლიტერატურა რომლის მიხედვით შეძლებენ მომზადებას აპლიკანტები და არ იქნებიან არათანაბარ პირობებში ჯანდაცვის მიმართულების განათლების მქონე ბაკალავრებთან. თსსუ-ს ვებ-გვერდზე მსგავსი ინფორმაცია დევს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. თსსუ სამაგისტრო პროგრამის “საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ თვიშეფასების ანგარიში
2. თსსუ სამაგისტრო პროგრამა “საზოგადოებრივი ჯანდაცვა“,
3. ინტერიუ

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -------- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ➢ პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების პროცესი წარმოებს ციკლურად, დაწყებული პროგრამის განვითარების ჯგუფის შექმნიდან მკვლევარების, ექსპერტების, სტუდენტების, პროფესურის, დამსაქმებლების ჩართულობით, პროგრამის შედეგების შეფასებით, საკითხების გამოკვეთით, რეაგირებით, შემდეგ და ისევ ციკლური პროცესით აღნიშნული მეთოდი გამოიყენება.

- ***პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.*** - პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია უშუალოდ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამაში, ითვალისწინებს ერთიანი სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების (A ტიპის საგამოცდო ტესტები) შემდეგ

ა) აპლიკანტისთვის ინგლისურის B2 დონეზე ცოდნის შეფასებას. ინგლისურის B2 დონეზე სათანადო ცოდნა აუცილებელია სილაბუსებში წარმოდგენილი ინგლისურენოვანი ლიტერატურით არსებობით შესაბამისად, სწავლის შედეგებზე გასასვლელად. ამისთვის ტარდება ტესტირება ინგლისურ ენაში, 50%+1-ის შეფასების მიღების შემთხვევაში ტესტი ჩაბარებულად ითვლება.

პროგრამის სილაბუსებში გამოყენებულია ინგლისურენოვანი ლიტერატურა, შესაბამისად წინაპირობები ლოგიკურია.

ბ) მეორე გამოცდა არის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დარგობრივი საკითხებზე ცოდნის შეფასება. აღნიშნული აუცილებელია, რადგან საკითხები, რომელიც განიხილება შინაარსობრივი თვალსაზრისით პროგრამაში მოითხოვს დარგობრივ გათვითცნობიერებას.

- პროგრამის სტრუქტურა აგებულია ძირითადი და არჩევითი კურსების პრინციპით. მეტად მარტივიდან რთულისაკენ, როგორც ჰორზინტალური ასევე ვერტიკალური პრიციპით. წინა პროგრამისგან განსხვადებით, მოხდა რამდენიმე საგნის (ორი საგანი) სინთეზი, რაც უკეთ იძლევა საკითხების აღქმის საშუალებას და ლოგიკურია. ძირითადი კურსების კრედიტი შეადგენს 82 ECTS, არჩევითი საგნებიდან დაგროვილი უნდა იყოს 8 ECTS, რომელსაც სტუდენტი ირჩევა 8 არჩევითი საგნებიდან, სადაც თითოეულის კრედიტი არის 2 ECTS.

„120 კრედიტიდან 90 კრედიტი ეთმობა პროფილურ სასწავლო კურსებს (66 კრედიტი - სავალდებულო, 8 კრედიტი - არჩევითი), 16 კრედიტი - საწარმოო პრაქტიკას, ხოლო 30 კრედიტი - კვლევით კომპონენტს, ანუ სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას.
არჩევითი სასწავლო კურსები სტუდენტებისთვის შეთავაზებულია შემდეგი განრიგით: I სემესტრი - 4 კრედიტი, II სემესტრი - 2 კრედიტი, III სემესტრი - 2 კრედიტი“
სასწავლო კომპონენტის შემდეგ სრულდება 30 კრედიტიანი სამაგისტრო კვლევითი ნაშრომი.

თითეოული სემესტრი დალაგებულია 30-30 ECTS კრედიტზე გათვლით და საგნების დაშვების წინაპირობებით. მაგრამ სემესტრში მინიჭებული კრედიტების გათვლა ძნელდება ორ სემესტეზე გადანაწილებული საგნებთან მიმართებაში, რადგან საგნებში ვერ მოიძია კონკრეტულ სემესტრში საგანში კრედიტის მინიჭების მექანიზმი. მაგალითად, კითხვა, როგორ მიიღო სტუდენტმა მეორე სემესტრში საგანზე სწავლის გაგრძელების დაშვება? როგორ მოხდა მისი შეფასება? - არ არის წარმოდგენილი.

- მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან იმ თვალსაზრისით რომ “საზოგადოებრივი ჯანდაცვა” მოიცავს ხუთ ძირითად დისციპლინას: ეპიდემიოლოგიასა და ბიოსტატისტიკას, ჯანდაცვის სოციალურ და ბიჰევიორისტულ ასპექტებს, ჯანდაცვის პოლიტიკასა და მენეჯმენტს, ეკოლოგიურ ჯანდაცვას და გამოყენებით საზოგადოებრივ ჯანდაცვას. ცნობილია, რომ პროგრამის სწავლების შედეგები უნდა ასახავდეს დარგში არსებულ ახალ ცოდნას, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის განახლებულ და ახალ ლიტერატურას, არის გამეორებულია ძირითადი ლიტერატურა რასაც ვერ ვხვდებით რიგ სილაბუსებში.

ინტერვიუს დროს ლექტორებმა აღნიშნეს (მაგ.პროფ.დევი ტაბიძე, აკ.ზოიძე) იყენებენ უახლეს რელევანტურ ინფორმაციას, მასალებს (სიახლეთა გარჩევის მეთოდი, შეფასებების გარეშე), ასევე სამეცნიერო სტატიებს თუმცა სილაბუსებში არ არის მითითებული სამეციერო ჟურნალებისა ან კონკრეტული სტატიების სახით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. პროგრამის თვითშეფსება;
2. თსსუ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამა
3. პროგრამის სილაბუსები

4. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
5. „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი“
6. კურიკულუმის რუკა“
7. ინტერვიუ მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

1. მოხდეს პროგრამის სტრუქტურულ სემესტრულ ნაწილში კრედიტების მინიჭების ასახვის პრინციპების დაცვა, რაც უნდა ითვალისწინებდეს საგანებში „საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკა და პრაქტიკა, ჯანმრთელობის სისტემები“, „ჯანმთელობის დაწესებულების მენეჯმენტი და სისტემის ბიზნეს დაგეგმარება“, კრედიტის მინიჭების მოთხოვნებს

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

……

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

  - ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;

➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს საკითხთან მიმართებაში უნდა აღინიშნოს, რომ

ა) ინგლისური ენის შედეგები საჭიროებს ასახვას (C დარგობრივ ენაში), რადგან საგნის სილაბუსის სწავლის შედეგებში ცალსახად განსაზღვრულია ენის მისაღწევი დონე და მხოლოდ „ ... უნარში შეძლებს პრეზენტაციას უცხოურ ენაზე ვერ იქნება აღშნიული საგნის სწავლის შედეგის ასახვა პროგრამის სწავლის შედეგებში“

ბ) კურიკულუმის შედეგების რუქაზე გამორჩენილია ნაწილი საგნების უნარების ასახვა

დ) საგნის სილაბუსები (მაგ. პროექტის დაწერა) სწავლის შედეგები: მოიხოვს შინაარსთან შესაბამისობას, რიგ შემთხვევებში კვალიფიკაციის აღმწერის გათვალისწინებას

ე) თვითშეფასებაში მოცემულია , რომ „საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია საზოგადოებრივი ჯანდაცვის დარგის სხვადასხვა მიმართულების თანამედროვე სამეცნიერო კვლევებზე, გამოცდილებასა და მიღწევებზე.

სასწავლო მასალის სამიზნე ნიშნულებია:

• საკმარისობა; თანამედროვეობა; ხელმისაწვდომობა“ საგნებში მითითებული ლიტერატურის შესწავლისას აღნიშნა 10-14 წლის ლიტერატურა, რომლის განახლებული გამოცემები გამოსულია, ასევე „თანამედროვეობიდან“ გამომდინარე რელევანტური

სამეცნირო-კვლევითი სატიების მითითება ან ჟურანლების მითითება მეტად წარმოსაჩენს გახდიდა ლიტერატურის შერჩევის პრინციპს. გარდა ამისა, ელექტორნული, ონალინ ლინკები მოითხოვს სილაბუსებში ნახვის თარიღის მიწერას, რადგან რიგ შემთხვევებში გადამოწმების დროისათვის (ა.წ. 20,21,22 აპრილი, 1 მაისი) არ იყო ხელმისაწვდომი.

გ) უნდა აღინიშოს, რომ არჩევით საგნებში (13.1. ჯანმრთელობის ხელშეწყობა და დაავადებათა პრევენცია; 13.2. ინტეგრირებული კურსი ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა; 13.3. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ადვოკატირების სტრატეგია;
13.4. ორგანიზაციული ქცევა; 13.5. სოციალური კვლევა საზოგადოებრივი ჯანდაცვისათვის; 13.6. რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხები და ოჯახის დაგეგმვა; 13.7. სამედიცინო დაწესებულებების ფინანსური აღრიცხვა;
13.8. სტრტეგიული მარკეტინგი) 2 კრედიტი არის მცირე, იმ საკითხებისა ცოდნის სიღრმისა და უნარების გამომუშავებისათვის რომელსაც არჩევითი კურსები ითვალისწიებს. ინტერვიუს დროს სტუდენტებმა გამოთქვეს აზრი კრედიტების გაზრდის შესახებ. შესაბამისად, უკეთესი იქნება სათანადო ცოდნისა და უნარების შეძენის თვალსაზრისით გადახედულ იქნეს არჩევითი საგნების კრედიტ საათები, მოხდეს მათი გაზრდა ან ინგლისური ენის ან სასწავლო-პროფესიული პრაქტიკის ხარჯზე, 2-4 კრედიტით.
დ) კურიკულუმში არსებულ ორი საგანი:„საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკა და პრაქტიკა, ჯანმრთელობის სისტემები“, „ჯანმთელობის დაწესებულების მენეჯმენტი და სისტემის ბიზნეს დაგეგმარება“ მიმდინარეობს ორი სემესტრის განმავლობაში, კრედიტების მინიჭება წარმოებს სემესტრულად. საგანს აქვს ერთი დასკვნითი შეფასება/გამოცდა. ე.ი. სილაბუსში განსაზღვრული არაა თუ რა პრინციპით წარმოებს ერთ სემესტრში მაგალითად 6-ის და მომდევნო სემესტრში 2 კრედიტის მინიჭება.
ე) თვითშეფასებაში მითითებულია, რომ „..სასწავლო დისციპლინების სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია საზოგადოებრივი ჯანდაცვის აქტუალურ მიღწევებზე, სიახლეებზე, თანამედროვე კვლევის მეთოდებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგებს“ ზემოაღნიშნული 2.2 ქვესატდარტში მოყვანილი მასალიდან , ჩანს რომ რიგი საგნის სილაბუსები საჭიროებს სასწავლო მასალის განახლებას ან სწავლების მეთოდის „სიახლეთა/ აქტუალურ საკითხთა „ გარჩევას, შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურიდან, ჟურალებიდან მასალების სასწავლო ლიტერატურაში გათვალისწინებას. გარდა ამისა, სამ საგანს (პროექტის დაწერა, ეპიდმიოლოგია 1, ეპიდემიოლოგია 2) აქვს ერთი და იგივე 2 ძირითადი ლიტერატურა, რომელიც ისწავლება სამი სემესტრის განმავლობაში , Essentials of Epidemiology in Public Health by Ann Aschengrau and George Seage,

III (Jones and Bartlett Publishers, 2007), Epidemiology: An Introduction by Kenneth Rothman (Oxford University Press, 2002), რაც უნდა პირველ რიგში შეიცვალოს დღეს არსებობს საუკეთესო არჩევანი სათანადო ლიტერატურისა, ასევე სადაც დარჩევა ზემოთაღნიშნული ლიტერატურა გამოყენებულ უნდა იქნეს განახელბული გამოცემები მაგალითად Essentials of Epidemiology in Public Health by Ann Aschengrau and George Seage, III (Jones and Bartlett Publishers, 2007), განახლებულია 2013-ში, უკვე ხელმისაწვდომია 2020.

ვ) საგნებს (საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკა და პრაქტიკა, ჯანმრთელობის სისტემები, ეპიდემიოლოგია 1, პროექტის დაწერა და სხვ) რომლებსაც სილაბუსში აქვთ ე.წ. „დღიური“ სწავლების ფორმატი (ვგულისხმობთ სილაბუსში გაწერილ დღეებს „დღე 2-3“, „დღე 4-5“, „დღე 15-16-17“ და ა.შ., წარმოდგენილი/გაწერილი უნდა იყოს კვირეებთან მიმართებაში, რათა განისაზღვროს სემესტრში სწავლების სწორი ორგანიზაციული მხარე, რაც იძლევა კვირაში საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების დატვირთვის რეალობის შეფასებას, გარდა ამისა უნდა ჩანდეს რამდენი სთ ეთმობა დღეში პრაქტიკულ და სალექციო ნაწილს (განვმარტავთ მაგ: სილაბუსი საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკა და პრაქტიკა, ჯანმრთელობის სისტემები, დღე 2-3 (სვეტში მინიშნებით „დღე“) ლექცია 2 სთ, პრაქტიკა 6 სთ და ა.შ. რომელ დღეს რამდენი სთ ტარდება ლექცია და რამდენი პრაქტიკული? შეიძლება ერთ დღეს ტარდებოდეს 2 სთ ლექცია და 1 სთ პრაქტიკული, მეორე დღეს მხოლოდ 5 სთ პრაქტიკული? ჯამი „დღე 2-3“ აღებული ლექციებისა შეადგენს ზუსტად ლექციას 2 სთ-ს და 6 სთ პრაქტიკულ). ამიტომ თემატიკის პრაქტიკული და სალექციო საათები მოითხოვს სწავლების დღის და კვირის მიხედვით გაწერას, რომელიც შექმნის მკაფიო ერთიან სურათს სტუდენტის კვირაში/დღეში სალექციო და პრაქტიკულ/სასემინარო მუშაობასთან, დატვირთავსთან დაკავშირებით,

ზ) სამაგისტრო ნაშრომის შესრულების დოკუმენტში ან საუნივერსიტეტო დონეზე პლაგიატთან დაკავშირებული საკითხს, როდის ხდება ნაშრომის ანულირება, ან ხარვეზების გასწორება ვადებისა და პირობების მითითებით უნდა იყოს მოწოდებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
    1. ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
    2. „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი“ კურიკულუმის რუკა პროგრამის სილაბუსები; თსსუ-ის ბიბლიოთეკის ფონდი.

3. საგნების სილაბუსები;
4. ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები პროფესორ-მასწავლებლებთან, დამსაქმებლებთან.
5. ხელშეკრულებები/მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან და პრაქტიკის ობიექტებთან
6. სამაგისტრო ნაშორმის შესრულების დოკუმენტი

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

1.საგნის სილაბუსებში: „საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკა და პრაქტიკა, ჯანმრთელობის სისტემები“, „ჯანმთელობის დაწესებულების მენეჯმენტი და სისტემის ბიზნეს დაგეგმარება“ მოხდეს სემესტრის გათვალისწინებით მოწოდებული კრედიტების მინიჭების მექანიზმების განსაზღვრა;
2. საგნების (მაგალითად, „პროექტის დაწერა“, „ეპიდემიოლოგია I, „ეპიდემიოლოგია 2“) სილაბუსებში, სადაც მოცემულია ხანდაზმული ლიტერატურა განახლებულ იქნეს შესაბამისი ახალი ლიტერატურით, ამავე დროს გადახედულ იქნეს საგნებში: „პროექტის დაწერა“, „ეპიდემიოლოგია 1“ „ეპიდემიოლოგია 2“- ის ძირითად სასწავლო ლიტერატურა, რადგან სამივეში გამოყენებულია ორი ერთი და იგივე ლიტერატურა. ვფიქრობთ, რომ აქტიურად უნდა გამოყენებულ იქნეს შესაბამისი დარგობრივი სამეცნიერო ჟურნალები რელევანტური თემატური სტატიებით ;
3. სილაბუსებში უნდა მოხდეს სწავლის შედეგების კორექცია სამაგისტრო დონის კვლიფიკაციის აღმწერთან მიმართებაში
4. პრაქტიკის სილაბუსში სწვლების შედეგთან მიმართებაში გაიწეროს უშუალოდ პრაქტიკის შეფასების კრიტერიუმები, სადაც ჩართული იქნება დამსაქმებელი ან მისგან გამოყოფილი პირი, ან პრაქტიკის მენტორი
5. საგნების (მაგ.: საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკა და პრაქტიკა, „პროექტის დაწერა“,ეპიდემიოლოგია I და სხვა,) სილაბუსებში სადაც მოცემულია სწავლება და თემატიკა „დღეებზე“ გაწერით (მაგალითდ დღე 5-6, ან დღე 18-19-20) , წარმოდგენილ იქნეს სასწავლო კვირეების წარმოჩენით, ასევე დღეში თემატიკის ლექციისა და პრაქტიკულის საკონტაქტო სთ-ის რაოდენობის მითითებით;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თსსუ ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას. თსსუ-ში სტუდენტურ აქტივობებს ახორციელებს სხვადასხვა ადმინისტრაციული და აკადემიური ერთეული, სტუდენტური თვითმმართველობა, ცალკეული სტუდენტური ორგანიზაციები და საინიციატივო ჯგუფები, ინდივიდუალურად სტუდენტები. მაგისტრანტებს შეუძლიათ გაერთიანდნენ თსსუ-ში მოქმედ სტუდენტურ ორგანიზაციებში. მაგისტრანტს აქვს საშუალება კურიკულუმით და ასევე მის გარეთ ინდივიდუალურად და ჯგუფში მუშაობის ; ✓ ვერბალური და წერითი კომუნიკაციის; ✓ ახალ სიტუაციაში ადაპტირების; ✓ პროფესიულ თემებზე დისკუსიას და დებატებს, წამოჭრილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ ზეპირი და წერილობითი ინფორმაციის გადაცემას სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ქართულ და ინგლისურ ენებზე; ✓ საკუთარი პოზიციის დაცვას;

✓ პროფესიული მასალის მოძიებას და პრეზენტაციის გაკეთებას კოლეგებისა და დაინტერესებულ პირთათვის ქართულ და ინგლისურ ენებზე;

მაგისტრს ექნება პროფესიული და კარიერული ზრდის მოთხოვნილება და დოქტორანტურაში სწავლის გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში შეძლებს პრიორიტეტის განსაზღვრას საზოგადოებრივი ჯანდაცვის სხვადასხვა მიმართულებით.

ინტერვიუს დროს წარმდგენილი საუნივერსიტეტო ბიუჯეტის მიხედვით, სამეცნიერო კვლევებზე გამოყოფილია 1,35 მლნ ლარი, რომელიც განავითარებს სამეცნიერო კვლებში პროფესორ-მასწავლებლისა და სტუდენტების ჩართულობას. ვიზიტის დროს კონკრეტული მიმდინარე საუნივერსიტეტო კვლევები არ იქნა დასახელებული, თუმცა დასახელებულ იქნა პროფესიული მიმართულებების გასვლები ქვეყნის გარეთ სხვადასხვა სამეცნიეორ-კვლევით ფორუმებზე, ხოლო კვლევით პროექტებში ჩართულობა პირდაპირ ვერ გაიხსენეს სტუდენტებმა, აქვთ დიდი სურვილი მონაწილეობა როგორც ქვეყნის შიგნის ისე, მის ფარგლებს გარეთ, თუმცა ამას ჯერ არ აქვს რეგულარული ხასიათი. პრაქტიკულ საქმიანობას, რამეთუ ითვალისწინებს უშუალოდ სილაბუსი, გამომდინარე აქვთ პრაქტიკული უნდარების გამომუშავების კარგი საშუალება. სასურველია არსებობდეს პლაგიატის შესახებ ჩამოყალიბებული დებულება, რომელსაც გამოიყენებდნენ სრუდენტები, ასევე ნაშრომების შესრულება ხდებოდეს რომელიმე აღიარიებული აკადემიური სტილით (APA და სხვა). აღნიშნული მნივნწლოვნი სართაშორისო არეზე სხვადასხვა ტიპის ნაშროების, თეზისების წარსადგენად .

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. ჩატარებული სამეცნიერო ფესტივალების პროგრამები; ჩატარებული ღონისძიებები
2. ინტერვიუ სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან
3. თსსუ ბიუჯეტი
4. საერთაშორისო თანამშრომლობის მემორამდუმი აშშ
5. ინტერვიუ პროფესორ-მასწავლებლებთან, სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

1. სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის მეტი ჩართულობა კვლევით პროცესებში, მათ შესახებ მეტი ინფორმირება უპირატესად საუნივერსიტეტო ყველა საკომუნიკაციო არხით;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სამაგისტრო ნაშრომის შესრულების სტანდარტში სასურველია თუ გაითვალისწინებული იქნება აღიარებული რომელიმე აკადმიური წერის სტილი (APA ან სხვა) და ასევე პლაგიატის შესახებ მოთხოვნა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თვითშეფასებასა და სილაბუსებში მოწოდებული ინფორმაცით გამოიყენება:

სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- ვერბალური/ზეპირსიტყვიერი მეთოდი – ახალი მასალის გადაცემა და განხილვა ზეპირსიტყვიერად;
- წიგნზე მუშაობის მეთოდი - ჩანაწერების გაკეთება, თეზისის შედგენა, რეფერატის, ესეს შესრულება;
- ახსნა–განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ.

მაგალითად, კვლევის დიზაინის შერჩევის და მონაცემთა ბაზების მომზადების დროს დეტალურად განიხილება სხვადასხვა კონკრეტული შემთხვევა.

- დისკუსია/დებატები – ინტერაქტიური სწავლების ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი - მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა სწავლა-სწავლებაში აქტიური ჩართულობის ხარისხს. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს აკადემიურ კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით; იგი უვითარებს სტუდენტს სხვისი აზრის მოსმენის, გაზიარების, საკუთარი აზრის არგუმენტირების უნარს, კამათისა და კონსოლიდირებული აზრის ჩამოყალიბებაში მონაწილეობის კულტურას.
- კოოპერაციული (ჯგუფური და წყვილებში) მუშაობის მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და, პარალელურად, უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე, შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის ფუნქციების გადანაწილება. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს თეორიული ცოდნის გაღრმავება-განმტკიცებას; ასევე, ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
- სიტუაციური ამოცანის/შემთხვევის ანალიზი - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს; მაგალითად: სხვადასხვა ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის ფუნქციონირების, ფინანსირების და მენეჯმენტის შემთხვევები და სხვ.
- პრაქტიკული მეთოდები – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს; სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, მათ შორის - საველე სამუშაოებს.

თსსუ-ში შემუშავებულია და მოქმედებს სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, რომლის მიზანია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების მხარდაჭერა და სწავლის გაგრძელების ხელშეწყობა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (გრაფიკის) შემუშავება ხდება და შესაბამისი მეთოდის გამოყენება."

სილაბუსებში ზემოთაღნიშნული მეთოდები წარმოდგენილია და რელევანტურია სწავლის შედეგებთან, მაგრამ დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სტატიების კრიტიკული ანალიზის, ასევე სიახლეთა გარჩევის მეთოდები საშუალებას მიცემს სტუდენტებს თანამედროვე და ახალ თემატურ საკითხებს გაეცნონ, განივითარონ კრიტიკული აზროვნება, რაც შესაბამისია სამაგისტრო სწავლების საფეხურისთვის. ვიზიტის დროს პროფესურის მიერ აღინიშნა, რომ ისინი იყენებენ აღშნულ მეთოდებს, მაგრამ ზუსტად ინტერვიუს დროისთვის ვერ იხსენებენ აღნიშნულია თუ კონკრეტულ სილაბუსებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
  - საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამა
  - პროგრამის სილაბუსები
  - სტუდენტების გამოკითხვის შედეგები
  - თსსუ-ის სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი
  - საკვალიფიკაციო ჩარჩო
  - ექსპერტთა ინტევიუები პროფესორ-მასწვლებლებთან, სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

1. შესაბამის სილაბუსებთან მიმართებაში მეტად წარმოჩნდეს და გამოყენებულ იქნეს კრიტიკული ანალიზისა და აზროვნების, კვლევითი პროექტის წერის და სხვა მეთოდები, რომელიც ხელს შეუწყობენ იდეების ფორმირებას, კვლევის დაგეგმვასა და განხორციელებას

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) - პროგრამის შეფასების სისტემა მრავალკომპონენტიანია და უზრუნველყოფს თითოეული კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას. ამისთვის გამოყენებულია კონკრეტული გაზომვადი კრიტერიუმები, თავისი რუბრიკებით და ქულების გრადაციით. შეფასების სისტემა შედგება შუალედური და დასკვნითი შეფასების ფორმებისგან. თანაფარდობა შუალედურ და ფინალურ შეფასებებს შორის შემდეგია: 60+40=100. პროგრამაში არსებული სასწავლო კურსების შეფასების სისტემა პროგრამის სწავლის შედეგებს შეესაბამება. თითოეული სასწავლო კურსის შეფასების სისტემა, მისი კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და კურსის სწავლის შედეგებს შეესაბამება. შუალედური და დასკვნითი შეფასებები ხორციელდება რამდენიმე კომპონენტის მიხედვით: შუალედური (მაქს. 60) - აქტივობა, დისკუსიაში მონაწილეობა,

საშინაო დავალება, სემინარზე მუშაობა, პრაქტიკული სამუშაო, წერითი ნაშრომი, ზეპირი გამოკითხვა, პრეზენტაცია. დასკვნითი გამოცდა ფასდება, მაქსიმუმ, 40 ქულით და შეიძლება მოიცავდეს ერთ ან რამდენიმე კომპონენტს (წერითი ტესტი, ზეპირი პასუხი, პრაქტიკული უნარების დემონსტრაცია). შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: სტუდენტი გამოცდაზე დაიშვება, თუ შუალედური შეფასება მაქსიმალური შეფასების 11% და მეტია. პროგრამაში დასკვნითი გამოცდის შეფასება დადებითია სტუდენტის მიერ 20 და მეტი ქულის (გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50% და მეტი) მიღების შემთხვევაში.

შეფასების კრიტერიუმებით ხდება სტუდენტების მიღწევის გაკონტროლება, მის მიერ ბარიერის დაძლევა გულისხმობს სწავლის დასახული შედეგების მიღწევას. პროგრამის სასწავლო კურსების შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები გამჭვირვალეა. ამის უზრუნველსაყოფად შეფასების სისტემაში თითოეული კომპონენტისთვის გაწერილია რუბრიკები და მოცემულია ქულების გრადაცია რუბრიკების

მიხედვით. აღნიშნული ხელმისაწვდომია ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში, გამჭვირვალე და წინასწარ ხელმისაწვდომი და ცნობილია სტუდენტისთვის. სილაბუსში გაწერილი რუბრიკებისა და ქულების გრადაციის საშუალებით სტუდენტი იღებს ინფორმაციას მიღწეული ცოდნის დონის შესაბამისად თუ როგორ შეფასებას იღებს. მეორე მხრივ, შეფასების თითოეული კომპონენტისთვის დეტალურად გაწერილი რუბრიკები და კონკრეტულად ჩამოყალიბებული კრიტერიუმები საშუალებას აძლევს პედაგოგს ობიექტურად და სამართლიანად შეაფასოს სტუდენტის მიერ შეძენილი ცოდნა და უნარები კონკრეტულ საგანში.

შეფასება 100 ქულიანი სისტემით ასეთი სახით არსებობს:

დადგენილი პროცედურების შესაბამისად, შეფასება 100-ქულიანი სისტემით გადანაწილებულია და განისაზღვრება ამგვარად:

- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

➢ (FX) ვერ ჩააბარა, მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

თვითშეფსებაში აღნიშნულია, რომ შეფასების სანდოობის უზრუნველსაყოფად, სტუდენტის შეფასების პროცესში მონაწილეობს ერთზე მეტი შემფასებელი. ასეთ შემთხვევაში მეტი გამჭირვალობისთვის კარგი იქნება მოხდეს სილაბუსებში ჩანაწერი. რა შემთხვევაში, როგორ და რომელ კომპონენტში ხდება ერთზე მეტი შემფასებლის ჩართვა და შეფასება.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტის – სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება საკრედიტო სისტემით გათვალისწინებული შეფასების და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულების შესაბამისად. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საკვალიფიკაციო კომისიის წევრები სამაგისტრო ნაშრომს აფასებენ 0-100 ქულით. სამაგისტრო ნაშრომის 51 და მეტი ქულით შეფასებისას ნაშრომი ითვლება დაცულად. თუკი სამაგისტრო ნაშრომი შეფასდა 41-51 ქულით, განმეორებითი დაცვა შესაძლებელია სამაგისტრო ნაშრომების მომდევნო დაცვაზე, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს თანხმობით.
უნდა აღინიშნოს, რომ მაგისტრანტთა შეფასება ხორციელდება საჯაროდ, 2018 წლიდან დაინერგა შეფასების ელექტრონული სისტემა. უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება თსსუ-ში არსებულ შიდასაუნივერსიტეტო ნორმატივის შესაბამისად. დებულებაში „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მაგისტრატურის შესახებ“ შევიდა ცვლილება თსსუ-ისაკადემიურისაბჭოს 2019 წლის 26 თებერვლის №24/4 დადგენილებით. შეიცვალა და ახლებურად ჩამოყალიბდა სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესი.
სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვის პროცედურა ითვალისწინებს:
•სამაგისტრო ნაშრომის მოხსენებას (15-20 წთ),
•დისკუსიას,
•რეცენზენტების მიერ ნაშრომის შეფასებას, •საბოლოო შეფასებას.
ორივე რეცენზენტის უარყოფითი დასკვნის ან საჯარო დაცვაზე სამაგისტრო ნაშრომის 51 ქულაზე ნაკლები შეფასების შემთხვევაში განმეორებითი დაცვა შესაძლებელია სამაგისტრო ნაშრომების მომდევნო დაცვაზე, შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს თანხმობით.

ინფორმაცია სამაგისტრო პროგრამის შეფასების სისტემის შესახებ განთავსდება უნივერსიტეტის ვებ–გვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით 1. თსსუ–ის სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი; 2. სამაგისტრო პროგრამა საზოგადოებრივი ჯანდაცვა; 3. პროგრამის სილაბუსები; ○
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
- თუ სტუდენტის შეფასების პროცესში მონაწილეობს ერთზე მეტი შემფასებელი, როგორ ხდება საბოლოო შეფასების გამოყვნა (არ ვგულისხმობთ სამაგისტრო ნაშორმის დაცვასა და შეფსებას) მოხდეს სილაბუსებში შესაბამისი ჩანაწერი პროცედურის შესახებ და სტუდენტი იყოს წინასწარ ინფორმირებული. არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური, რომლის მიზანია სტუდენტებისთვის კონსულტაციის გაწევა სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, ასევე ზრუნავს სტუდენტების კარიერულ განვითარებაზე, სტაჟირების პროგრამების განხორციელებასა და სტუდენტთა დასაქმებაზე. თვითშეფასების ანგარიშსა და ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროგრამაში ჩართული პირები და დაწესებულების პერსონალი სტუდენტებს აწვდიან ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმავსთან, აკადემიურ მიღწევებთან, დასაქმებასთან და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით, ისინი ინფორმაციის მიწოდების საშუალებად ძირითადად იყენებენ თსსუ-ის ვებ გვერდს და ფეისბუქ გვერდს, რომელიც იქმნება სტუდენტთა თითოეული ჯგუფისთვის და წარმოადგენს საკომუნიკაციო ველს, ინფორმაციის გაცვლის მექანიზმს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს აკადემიური სივრცისთვის შესაფერის პლატფორმას, ის, შესაძლებელია, განკუთვნილი იყოს მხოლოდ არაფორმალური (დამატებითი) კომუნიკაციისთვის და ვერ ჩაითვლება უნივერსიტეტის ოფიციალურ საკომუნიკაციო არხად.

გარდა ზემოთ აღნიშნული წყაროებისა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამის სტუდენტები დასაქმებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას იღებენ პროფესიული პრაქტიკის კურსის გავლის დროსაც, რომლის ფარგლებშიც მათ ურთიერთობა აქვთ დამსაქმებელთან. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, სტუდენტთა კარიერულ განვითარებას და დასაქმებას ხელს უწყობს ჯანდაცვის კომპანიებთან და ლაბორატორიებთან თანამშრომლობა.

სწავლების ხარისხის ამაღლებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საერთაშორისო სკოლა პერიოდულად ახორციელებს შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა კვლევას. ბოლო კვლევის შედეგებმა აჩვენა დასაქმებულ კურსდამთავრებულთა რაოდენობის ზრდა.

როგორც სტუდენტები აღნიშნავენ, ლექტორები მათ მუდმივად უწევენ კონსულტაციას სასწავლო პროცესთან დაკავშირებით, აწვდიან უახლეს სტატიებს და ინფორმაციას კონფერენციების, პროექტების, ღონისძიებების შესახებ, მიუხედავად ამისა, ინტერვიუს პროცესში სტუდენტებმა ვერ გაიხსენეს ის პროექტები თუ კონფერენციები, რომლებშიც მონაწილეობა მიუღიათ, ან სმენიათ მათ შესახებ. კითხვაზე იყენებენ თუ არა ელექტრონულ ბაზებს, სტუდენტთა აბსოლუტური უმრავლესობის პასუხი უარყოფითი იყო. მათ მხოლოდ სმენიათ ელექტრონული ბაზების არსებობის შესახებ და არ არიან ინფორმირებულნი, თუ როგორ გამოიყენონ ისინი. გარდა ამისა, ისინი აღნიშნავენ სოციალური ქსელის fb ინტენსიურ გამოყენებას ერთმანეთთან და სასწავლო პროცესში (დამატებითი მასალების მიღება, კომუნიკაცია) .

საზოგადოებრივი ჯანდაცვის საერთაშორისო სკოლის და პროგრამის ადმინისტაციის მიერ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების მიხედვით, სტუდენტთა დიდი ნაწილი (63%) მიიჩნევს, რომ სასწავლო პროცესი კარგად არის ორგანიზებული, ამას ადასტურებს ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაციაც, მიუხედავად ამისა, გამოკითხვის პროცესში მაგისტრანტებმა აღნიშნეს, რომ მათ არ აქვთ შესაძლებლობა დამოუკიდებლად დაგეგმონ სემესტრი, ინდივიდუალურად აირჩიონ საგნები, ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხია იმ ფონზე, რომ სტუდენტთა უმრავლესობა დასაქმებულია (ლ.ბარამიძემ ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ სტუდენტების საშუალოდ 80% დასაქმებულია).

როგორც ინტერვიუირების შედეგად გაირკვა, ამ ეტაპზე საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამის სტუდენტებს არ აქვთ შესაძლებლობა, ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • უსდ-ს მიერ ჩატარებული სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები; • უსდ-ს მიერ ჩატარებული შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა კვლევა; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: 1. უნივერსიტეტში მოხდეს ინდივიდუალური საუნივერსიტეტო საკომუნიკაციო არხების მეტად ინტენსიური გამოყენება საპირისპიროდ სოციალური ქსელ ფბ-ის მეშვეობით სასწავლო მასალების მ.შ. პრეზენტაციის მიწოდების ან ლექტორთან კომუნიკაციისას; 2. სტუდენტებს მიეცეთ მეტი შესაძლებლობა პროგრამის ფარგლებში ინდივიდუალურად აირჩიონ საგნები მ.შ. პროგრამის ძირითადი, დაგეგმონ სემესტრი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, გაიზარდოს სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდების წყაროები - დასაქმებასთან, კარიერულ განვითარებასთან, პროექტებთან, კონფერენციებთან, ღონისძიებებთან, კვლევებთან დაკავშირებული ინფორმაცია განთავსდეს ელექტრონულ პლატფორმაზე, გაეგზავნოთ მეილებზე. სასურველია, სტუდენტებს პერიოდულად გაეწიოთ კონსულტაცია ელექტრონული ბაზების გამოყენების შესახებ. სასურველია, გაიზარდოს სტუდენტების მონაწილეობა პროექტებში, კონფერენციებში, კვლევებში, ღონისძიებებში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
